20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

21/04/2026 N 45

თბილისი

შპს „საფინანსო პლიუსი“-ს სესხის გამცემი სუბიექტისთვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „$ი^1$“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „საფინანსო პლიუსი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 405672598) სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით სგს-0120272, მისამართზე: ქ. თბილისი, იოველ ჯეგაშვილის ქუჩა N5.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საფინანსო პლიუსი“-ს სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 28 მარტის N143 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი